საქართველოს პარლამენტის ბიუროს!

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 127–ე მუხლის თანახმად, 25 000 ხელმოწერის შესაგროვებლად, საინიციტივო ჯგუფი წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას, საქართველოს კანონს: „სასურსათო და კვების უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ.“

გთხოვთ წარმოდგენილ საკანონმდებლო ინიციატივას მისცეთ კანონმდებლობით გათვალისწინებული მსვლელობა.

დანართი 15 გვ.

პატივისცემით, საინიციატივო ჯგუფი:

1. ზვიად ტომარაძე [redacted]
   პ/ნ: [redacted] ტელ: [redacted]
2. ნიკოლოზ ხომასურიძე [redacted]
   პ/ნ: [redacted] ტელ: [redacted]
3. ნიკოლოზ თურმანიძე [redacted]
   პ/ნ: [redacted] ტელ: [redacted]
4. რამაზ ბექაური [redacted]
   პ/ნ: [redacted] ტელ: [redacted]
5. თემურ ლომიძე [redacted]
   პ/ნ: [redacted] ტელ: [redacted]
6. მარიამ აბაშიძე [redacted]
   პ/ნ: [redacted] ტელ: [redacted]
7. მარიამ რუსიშვილი [redacted]
   პ/ნ: [redacted] ტელ: [redacted]
8. თეკუნა გაბისონია [redacted]
   პ/ნ: [redacted] ტელ: [redacted]
9. ბექა ამირეჯიბი [redacted]
   პ/ნ: [redacted] ტელ: [redacted]
10. ლევან კეჭაყმაძე [redacted]
    პ/ნ: [redacted] ტელ: [redacted]

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-1834/22
19 09 2022 წ. ფურც. 163

11. ზურა ქუმსიაშვილი [redacted]
პ/ნ: [redacted] ტელ: [redacted]

12. ნოდარ ხუციშვილი [redacted]
პ/ნ: [redacted] ტელ: [redacted]

13. მაგდა ტყეშელაშვილი [redacted]
პ/ნ: [redacted] ტელ: [redacted]

14. დავით ნოზაძე [redacted]
პ/ნ: [redacted] ტელ: [redacted]

15. ნიკოლოზ კიკნაველიძე [redacted]
პ/ნ: 3800100042 ტელ: 595858389

16. გიორგი ბარდაველიძე [redacted]
პ/ნ: [redacted] ტელ: [redacted]

17. ბექარ მიქუჩაძე [redacted]
პ/ნ: [redacted] ტელ: [redacted]

18. [redacted]
[redacted]
პ/ნ: [redacted] ტელ: [redacted]

პროექტი

საქართველოს კანონი

„სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ“

ამ კანონის მიზანია განსაზღვროს საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, უზრუნველყოს მოსახლეობის კვების უფლებები საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად.

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების პროცესში ურთიერთობებს.

მუხლი 2. კანონმდებლობის სისტემა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში

1. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველოფის დროს ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონით „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“, ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

მუხლი 3. ძირითადი ცნებების განმარტებანი

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება - საქართველოს ეკონომიკის ისეთი მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის სასურსათო დამოუკიდებლობას და იმას, რომ ქვეყანაში თითოეულ ადამიანს ნებისმიერ დროს აქვს ფიზიკური, სოციალური და ეკონომიკური წვდომა საკმარისი რაოდენობის უსაფრთხო და

ხარისხიან საკვებზე, რომელიც საშუალებას იძლევა დაკმაყოფილდეს მისი საკვებზე მოთხოვნები და არჩევანი, შესაბამის სანიტარულ და სამედიცინო მომსახურების პირობებში, ჯანმრთელი (ჯანსაღი) და აქტიური ცხოვრების წესის წარმართვისათვის.

2. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა - სასურსათო კრიზისის განსაზღვრისა და საციცოცხლოდ აუცილებელი პროდუქტებით მოსახლეობის მოთხოვნილებათა კვების ფიზიოლოგიური ნორმების დონეზე დაკმაყოფილების ეკონომიკური, ორგანიზაციული და სხვა ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება.

3. სასურსათო კრიზისი - მდგომარეობა, როდესაც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ან მის რომელიმე ნაწილში ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისი საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი კვების პროდუქტების მიწოდება საფრთხის ქვეშაა და მისი თავიდან აშორება შესაძლებელია სახელმწიფო რეგულირების სპეციალური ღონისძიებების გამოყენებით.

4. კვების ფიზიოლოგიური ნორმები - საკვები ნივთიერებებისა და ენერგიის მოხმარების მეცნიერულად დასაბუთებული, საერთაშორისო აღიარების მქონე ფიზიოლოგიური, ჯამრთელობის დაცვისა და სოციალური კრიტერიუმები და ნორმები, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს კანონმდებლობით.

5. საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი კვების პროდუქტი - კვების პროდუქცია, რომელიც სტრუქტურითა და მოცულობით საქართველოს მოსახლეობის კვების რაციონის საფუძველს წარმოადგენს. მისი ჩამონათვალი მტკიცდება ნორმატიულად.

6. საქართველოს სასურსათო დამოუკიდებლობა - სასურსათო უსაფრთხოების განხორციელების პირობა, რომლის დროსაც საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი კვების პროდუქტების იმპორტის მკვეთრად შემცირების ან შეწყვეტის შემთხვევა სასურსათო კრიზისს ვერ იწვევს.

7. კვების პროდუქტების წარმოების აუცილებელი დონე - საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი კვების პროდუქტებისა და საკვები ნედლეულის საქართველოში წარმოების დონე, რომელიც გათვლილია ძირითად კვების ნივთიერებებსა და ენერგიაზე მოსახლეობის საშუალო სულადობრივი მოხმარების მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია მოსახლეობის სტრუქტურა ასაკის, სქესის მიხედვით, შრომის პირობები, კლიმატი, აგრეთვე კვების რაციონის ეთნიკური, კუთხური და სხვა თავისებურებები და რომლის დროსაც საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება უზრუნველყოფილია.

8. კვების პროდუქტების ფიზიკური ხელმისაწვდომობა - კვების პროდუქტების უწყვეტი მიწოდება მათი მოხმარების ადგილებში იმ მოცულობით, რაც საკმარისია მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

9. სურსათზე ეკონომიკური ხელმისაწვდომობა - მოსახლეობის მიერ კვების ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისი კვების პროდუქტების შეძენის შესაძლებლობა არსებული მოხმარების სტრუქტურის, ფასების სისტემის, შემოსავლების დონის, სოციალური დახმარებებისა და შეღავათების დროს.

10. სახელმწიფო სასურსათო რეზერვი - სახელმწიფო რეზერვების ნაწილი (სურსათის არაშემცირებადი და ოპერატიული რეზერვი), რომელიც გათვალისწინებულია სასურსათო კრიზისის თავიდან ასაშორებლად ან მისი შედეგების დასაძლევად.

მუხლი 4. სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები სასურსათო უსაფრთხოების სფეროში

1. სასურსათო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველია საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად მოქალაქის სრულფასოვან კვებაზე უფლების განხორციელება და მისი დაცვა შიმშილისაგან.

2. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქართველოს მთავრობის (შემდგომში - მთავრობა) ძირითადი ამოცანებია:

ა. კვების პროდუქტებზე ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ბ. სურსათის უვნებლობისა და ხარისხიანობის უზრუნველყოფა;

გ. სახელმწიფო სასურსათო რეზერვების შექმნა, შენახვა და შევსება;

დ. სასურსათო კრიზისის დროს სურსათის მოხმარების დროებითი რეჟიმის, მათ შორის - პროდუქტების ნორმატიული განაწილების უზრუნველყოფა;

3. სასურსათო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია:

ა. საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების (შემდგომში - სურსათის) ადგილობრივი წარმოების ზრდის სტიმულირება;

ბ. სურსათის ხარისხის შესაბამისობის უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან;

გ. მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის ამაღლება სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ღონისძიებებით;

დ. სასურსათო მარაგების შექმნა და მათი ეფექტიანად გამოყენება;

ე. მინიმალური სასურსათო კალათის სტრუქტურაში ჩართული ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტული სურსათის ბალანსის შედგენა;

ვ. სასურსათო უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის შეკრება და ანალიზი.

თავი II

სასურსათო უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და კონტროლი

მუხლი 5. საქართველოს სასურსათო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა

1. საქართველოს სასურსათო დამოუკიდებლობა ითვლება უზრუნველყოფილად, თუ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კვების პროდუქტების წარმოება საქართველოში და სახელმწიფო რეზერვები უზრუნველყოფენ სასურსათო კრიზისის თავიდან აშორებას.

2. სასურსათო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარებაზე პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა.

მუხლი 6. საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებები სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში

1. საქართველოს მთავრობა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს:

ა. უზრუნველყოფს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას სასურსათო უსაფრთხოების სფეროში;

ბ. უზრუნველყოფს კვების პროდუქტების წარმოების სტიმულირებისა და რეგულირების სფეროში მიმდინარე საქმიანობის კოორდინაციას;

გ. თავისი უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით შეიმუშავებს და განახორციელებს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამებს;

დ. ადგენს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურას, განსაზღვრავს მათ პასუხისმგებლობასა და კომპეტენციებს, მიზნებს, ამოცანებსა და ფუნქციებს ;

ე. განსაზღვრავს საქართველოს ცენტრალური და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების მიზნებსა და ამოცანებს, აგრეთვე მათი საქმიანობის კოორდინაციის მექანიზმს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მოსახლეობის დაცვის სფეროში სასურსათო კრიზისის პირობებში;

ვ. უზრუნველყოფს წარმოებული და მოსახლეობისადმი რეალიზებული კვების პროდუქტების ხარისხის შესაბამისობას საქართველოს სახელმწიფო სტანდარტების სისტემის მოთხოვნებთან;

ზ. ადგენს სახელმწიფო სასურსათო რეზერვების ნომენკლატურას, მოცულობასა და დაგროვების ვადებს;

თ. ახდენს სახელმწიფო სასურსათო რეზერვების მართვას.პასუხისმგებელია მის შექმნაზე, შენახვაზე, მიზნობრივ გამოყენებასა და შევსებაზე;

ი. ახდენს მოსახლეობის საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი კვების პროდუქტებით მომარაგების შესახებ მონაცემთა შეკრებისა და ანალიზის, აგრეთვე სასურსათო უსაფრთხოების სფეროში ქვეყანაში სიტუაციის განვითარების პროგნოზური შეფასების მომზადების ორგანიზებას.

მუხლი 7. აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების, სახელმწიფოს რწმუნებულების - გუბერნატორებისა და ადგილობრივი თვთმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებები სასურსათო უსაფრთხოების სფეროში

1. აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლება, სახელმწიფოს რწმუნებულები - გუბერნატორები და ადგილობრივი თვთმმართველობის ორგანოები:

ა. ახდენენ დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე საქართველოს ერთიანი პოლიტიკის განხორციელებას სასურსათო უსაფრთხოების სფეროში ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით;

ბ. შეიმუშავებენ და ახორციელებენ საკუთარ რწმუნებულ ტერიტორიებზე სასურსათო უსაფრთხოების მიზნობრივ პროგრამებს იმ მიმართულებით, რომელსაც არ შეიცავს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა;

გ. ახდენენ დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის მოქმედი სახელმწიფო ორგანოებისა და სამსახურების კოორდინაციას.

მუხლი 8. ინფორმაცია სასურსათო უსაფრთხოების სფეროში

1. სასურსათო უსაფრთხოების სფეროში ინფორმაციის წარმოების წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.
2. ინფორმაცია სასურსათო უსაფრთხოების სფეროში უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
ა. კვების იმ პროდუქტების (საბაზო პროდუქტის) წარმოების, ექსპორტის, იმპორტისა და მოხმარების მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ სასურსათო უსაფრთხოებას;
ბ. საკვები პროდუქციის აუცილებელი და ფაქტობრივი წარმოების დონეების სახელმწიფო და ტერიტორიული ერთეულების ბალანსი;
გ. სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ბაზრის განვითარების მდგომარეობა და ტენდენციები;
დ. სასურსათო უსაფრთხოების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შესახებ;
ე. სასურსათო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო და დარგობრივი სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების, ნორმებისა და ნორმატივების შესრულების მდგომარეობა.

მუხლი 9. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სახელმწიფო კონტროლი

1. სასურსათო უსაფრთხოების განხორციელებაზე სახელმწიფო კონტროლის მიზანია საქართველოს კანონმდებლობის განხორციელება, სასურსათო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო გარანტიების უზრუნველყოფა, სასურსათო უსაფრთხოების პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის მოსახლეობის დაცვა სასურსათო კრიზისისაგან და კრიზისის დროს.
2. სახელმწიფო კონტროლი სასურსათო უსაფრთხოების განხორციელებაზე ხორციელდება საქართველოს მთავრობის, სახელმწიფო ორგანოების მიერ, აგრეთვე

სახელმწიფო სამსახურებისა და ინსპექციების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

3. კვების პროდუქტების წარმოებაზე, შენახვასა და რეალიზაციაზე სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება ყველა ორგანიზაციაში, მიუხედავად ორგანიზაციულ - სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა.

მუხლი 10. სურსათის ბაზრის სახელმწიფო კონტროლი

1. სასურსათო ბაზრის სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება მთავრობის მიერ კვების პროდუქტების აუცილებელი და ფაქტობრივი წარმოების დონეების ბალანსის საფუძველზე.

2. სურსათის ბაზრის სახელმწიფო კონტროლი ესაა:

ა. სურსათის წარმოების, მისი მომარაგებისა და სასაქონლო მარაგების აღრიცხვა;

ბ. სურსათის საბითუმო (მსხვილი) პარტიების მოძრაობის კონტროლი მისი წარმოებიდან ან საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანიდან მომხმარებლისათვის მიწოდებამდე;

გ. კვების პროდუქტების (მათ შორის იმპორტირებულის) ხარისხის ეკოლოგიურ და სანიტარულ - ეპიდემოლოგიურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება;

დ. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 11. სურსათის წარმოების აუცილებელი და ფაქტობრივი დონეების ბალანსი

1. სურსათის წარმოების აუცილებელი და ფაქტობრივი დონეების ბალანსი არის ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და სასურსათო დამოუკიდებლობის შეფასების სისტემის საფუძველი და აგრეთვე, საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი კვების პროდუქციის წარმოების განსაზღვრისა და დაგეგმვის ბაზა.

2. სურსათის წარმოების აუცილებელი და ფაქტობრივი დონეების ყოველწლიური ბალანსი მტკიცდება საქართველოს მთავრობის მიერ მომავალი წლის 1 მარტამდე.

თავი III

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 12. ნორმატიული აქტების შესაბამისობაში მოყვანა წინამდებარე კანონთან

1. დაევალოს საქართველო მთავრობას ნორმატიული აქტების შესაბამისობაში მოყვანა წინამდებარე კანონთან.

თავი IV

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 13. „სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების დრო

1. „სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

განმარტებითი ბარათი

"სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან (1991 წ.) დღემდე არ განხორციელებულა სისტემური და კომპლექსური ღონისძიებები ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების სისტემის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად ბოლო წლებში განხორციელებული ღონისძიებებისა ამ მიმართულებით ქვეყანაში როგორც სასურსათო თვითუზრუნველყოფის, ისე მოსახლეობის შემოსავლებისა და გადახდისუნარიანობის დაბალი დონის გამო სასურსათო უზრუნველყოფის გამწვავების რისკები კვლავ არსებობს. სიტუაციას ართულებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესები. სულ უფრო იზრდება მსოფლიოში სურსათის რაოდენობრივი შეზღუდულობის პრობლემა. არსებობს სურსათზე არა მარტო ეკონომიკურად, არამედ ფიზიკურადაც ხელმისაწვდომობის რისკი.მიმდინარე ეტაპზე მნიშვნელობას იძენს ხელისუფლების ეფექტიანობა და დროის ფაქტორი: თუ როგორია ხელისუფლების პოლიტიკური ნება და რამდენად სწრაფად შეძლებს იგი შეიმუშაოს კონკრეტული მოქმედების გეგმა, დაძლიოს ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების არარსებობა და შექმნას ეს უსაფრთხოება. სასურსათო უსაფრთხოების საკითხის გადაწყვეტისათვის ყველაზე ეფექტიანი გზაა მისი სამართლებრივი ბაზისა და პოლიტიკური ნების გამომხატველი დოკუმენტის შექმნა სპეციალური კანონის სახით.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კანონის მიღების აუცილებლობა განსაზღვრულია სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ქართულ სამართლებრივ სისტემაში ვაკუუმის არსებობასთან -ისეთი ნორმატიული აქტის არა არსებობასთან, რომლის მიზანია განსაზღვროს საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, უზრუნველყოს მოსახლეობის კვების უფლებები საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად. სასურსათო უსაფრთხოება, მართალია ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში შედის , მაგრამ მისი სხვა ნაწილებისაგან პრინციპულად განსხვავდება. საქართველოს კანონით „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ" განსაზღვრულ რეგულირება ვერ მოიცავს სასურსათო უსაფრთხოების ინტერდარგობრივი სისტემას და ისე, როგორც სხვა შემთხვევაში (მაგალითად, საქართველოს კანონი „თავდაცვის დაგეგმვის შესახებ") საჭიროებს მასზე მორგებულ სპეციალურ კანონს. „სასურსათო უსაფრთხოების" პოლიტიკას ვერ იქნება შემუშავებული რომელიმე ერთი უწყების ფარგლებში, არ არსებობს მისი საკურატორო ერთი უწყება, ამიტომ მისი დაგეგმვა უნდა განხორციელდეს ერთიან

ეროვნულ დონეზე ამისათვის სამართლებრივი საფუძვლები შექმნას ითვალისწინება წინამდებარე კანონპროექტი.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტი არეგულირებს საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების პროცესში ურთიერთობებს . ის იძლევა სასურსათო უსაფრთხოების ცნებების განმარტებას (მუხლი 3). განმარტებულია საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება, როგორც საქართველოს ეკონომიკის ისეთ მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის სასურსათო დამოუკიდებლობას და იმას, რომ ქვეყანაში თითოეულ ადამიანს ნებისმიერ დროს ჰქონდეს ფიზიკური, სოციალური და ეკონომიკური წვდომა საკმარისი რაოდენობის უსაფრთხო და ხარისხიან საკვებზე, რომელიც საშუალებას იძლევა დაკმაყოფილდეს მათი საკვებზე მოთხოვნები და არჩევანი შესაბამის სანიტარულ და სამედიცინო მომსახურების პირობებში ჯანმრთელი (ჯანსაღი) და აქტიური ცხოვრების წესის წარმართვისათვის (მუხლი 3, პუნქტი 1). მოცემულია სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი ამოცანები და მიმართულებები სასურსათო უსაფრთხოების სფეროში: ა. საციოცხლოს მნიშვნელოვანი სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების (შემდგომში - სურსათის) ადგილობრივი წარმოების ზრდის სტიმულირება; ბ. სურსათის ხარისხის შესაბამისობის უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან;გ. მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის ამაღლება სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ღონისიებებით; დ.სასურსათო მარაგების შექმნა და მათი ეფექტიანად ე. მინიმალური სასურსათო კალათის სტრუქტურაში ჩართული ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტული სურსათის ბალანსის შედგენა; ვ.სასურსათო უსაფრთხოების ინფორმაციის შეკრება და ანალიზი. (მუხლი 4). დადგენილია სასურსათო უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისა და კონტროლის სისტემა (თავი II). დადგენილია საქართველოს სასურსათო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის კრიტერიუმი. კანონპროექტის შესაბამისად, საქართველოს სასურსათო დამოუკიდებლობა ითვლება უზრუნველყოფილად, თუ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კვების პროდუქტების წარმოება საქართველოში და სახელმწიფო რეზერვები უზრუნველყოფენ სასურსათო კრიზისის თავიდან აშორებას (მუხლი 5, პუნქტი 1). კანონპროექტით სასურსათო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარებაზე პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა. საქართველოს მთავრობა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს: ა) უზრუნველყოფს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას სასურსათო უსაფრთხოების სფეროში; ბ) უზრუნველყოფს კვების პროდუქტების წარმოების სტიმულირებისა და რეგულირების სფეროში მიმდინარე საქმიანობის კოორდინაციას; გ) თავისი უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით შეიმუშავებს და განახორციელებს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამებს; დ) ადგენს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურას, განსაზღვრავს მათ პასუხისმგებლობასა და კომპეტენციებს, მიზნებს, ამოცანებსა და ფუნქციებს ; ე) განსაზღვრავს საქართველოს

ცენტრალური და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების მიზნებსა და ამოცანებს, აგრეთვე მათი საქმიანობის კოორდინაციის მექანიზმს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მოსახლეობის დაცვის სფეროში სასურსათო კრიზისის პირობებში; ვ) უზრუნველყოფს წარმოებული და მოსახლეობისადმი რეალიზებული კვების პროდუქტების ხარისხის შესაბამისობას საქართველოს სახელმწიფო სტანდარტების სისტემის მოთხოვნებთან; ზ) ადგენს სახელმწიფო სასურსათო რეზერვების ნომენკლატურას, მოცულობასა და დაგროვების ვადებს; თ) ახდენს სახელმწიფო სასურსათო რეზერვების მართვას.პასუხისმგებელია მის შექმნაზე, შენახვაზე, მიზნობრივ გამოყენებასა და შევსებაზე; ი) ახდენს მოსახლეობის საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი კვების პროდუქტებით მომარაგების შესახებ მონაცემთა შეკრებისა და ანალიზის, აგრეთვე სასურსათო უსაფრთხოების სფეროში ქვეყანაში სიტუაციის განვითარების პროგნოზური შეფასების მომზადების ორგანიზებას. აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების, სახელმწიფოს რწმუნებულების - გუბერნატორებისა და ადგილობრივი თვთმმართველობის ორგანოები ახდენენ დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე საქართველოს ერთიანი პოლიტიკის განხორციელებას სასურსათო უსაფრთხოების სფეროში ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. კანონპროექტით გამახვილებულია ყურადღება სასურსათო უსაფრთხოების სფეროს ინფორმაციულ უზრუნველყოფასა და ინდიკატორებზე. სასურსათო უსაფრთხოების სფეროში ინფორმაციის წარმოების წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა (მუხლი 7). კანონპროექტის მიხედვით ინფორმაცია სასურსათო უსაფრთხოების სფეროში უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს: ა. კვების იმ პროდუქტების (საბაზო პროდუქტის) წარმოების, ექსპორტის, იმპორტისა და მოხმარების მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ სასურსათო უსაფრთხოებას; ბ.საკვები პროდუქციის აუცილებელი და ფაქტობრივი წარმოების დონეების სახელმწიფო და ტერიტორიული ერთეულების ბალანსი; გ. სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ბაზრის განვითარების მდგომარეობა და ტენდენციები; დ. სასურსათო უსაფრთხოების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შესახებ;ე. სასურსათო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო და დარგობრივი სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების, ნორმებისა და ნორმატივების შესრულების მდგომარეობა. ხორციელდება სურსათის ბაზრის სახელმწიფო კონტროლი.სურსათის ბაზრის სახელმწიფო კონტროლი მოიცავს: ა. სურსათის წარმოების, მისი მომარაგებისა და სასაქონლო მარაგების აღრიცხვა; ბ. სურსათის საბითუმო (მსხვილი) პარტიების მოძრაობის კონტროლი მისი წარმოებიდან ან საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანიდან მომხმარებლისატვის მიწოდებამდე; გ. კვების პროდუქტების (მათ შორის შემოტანილის) ხარისხის ეკოლოგიურ და სანიტარულ - ეპიდემოლოგიურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება; დ. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ღონისძიებების განხორციელება. სურსათის წარმოების აუცილებელი და ფაქტობრივი დონეების ყოველწლიური ბალანსი მტკიცდება საქართველოს მთავრობის მიერ მომავალი წლის 1 მარტამდე.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტით წარმოდგენილი კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, რაც გამომდინარეობს მისი მიზნის მიღწევის აუცილებელი საჭიროებიდან და კანონის მიღებასთან დაკავშირებული პროცედურიდან. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის ინიციატორები არ ითხოვენ მის დაჩქარებული წესით განხილვას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას, თუმცა აუცილებელი იქნება საბიუჯეტო ხარჯების სტრუქტურული გადანაწილება სასურსათო უსაფრთხოების პროგრამების განსახორციელებლად

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება პირდაპირ არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. თუმცა , საშუალოვადიანი და შემდგომი პერიოდისათვის ირიბად, გამოიწვევს საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას, რაც სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამაღლების მოჰყვება. უპირველესად, სურსათის წარმოების ზრდისა და მოსახლეობის ჯამრთელობის ამაღლების შედეგად.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტით არ დგინდება არანაირი საფასური იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი (ფულადი შენატანი).

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. კანონპროექტის მომზადება არ არის დაკავშირებული ასეთ ხელშეკრულებასთან/შეთანხმებასთან.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ

სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

1.ოქსფამი; 2. სახალხო მოძრაობა „საქართველოს აგრარული აღორძინებისთვის“;
3. საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა უშუალოდ ამ კანონპროექტის შემუშავებისას არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:
მიხეილ ჯიბუტი - საქართველოს მეცნიერთა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრი,აკადემიკოსი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:
კანონპროექტის ინიციატორია 25 000–ზე მეტი ამომრჩეველი